თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს
2013 წლის 24 მაისის სხდომის ოქმი #6

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი აკაკი ხელაძე, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 21, სტუდენტები – 7, სულ – 29 წევრი.

დღის წესრიგი

1. თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ხელმძღვანელის ცვლილებების შესახებ;

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

2. 2007 და 2008 წლის ,,ბიზნესის მართვის“ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის კორექტირების შესახებ;

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

3. 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ევროპადმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

   /ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

4. საბაკალავრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ;

   /ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და იენის უნივერსიტეტის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ ხელმძღვანელის ცვლილებების შესახებ;

/მომხსენებელი: ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ეს სამაგისტრო პროგრამა წარმატებულად ხორციელდებოდა თითქმის სამი წლის

განმავლობაში. პროგრამის ყოფილმა ხელმძღვანელმა, სრ. პროფ. ე. ხარაბაძემ შარაშან გამოთქვა სურვილი მისი ამ პოსტიდან განთავისუფლების შესახებ. ცვლილება განხორციელდა გერმანელი პარტნიორების მხრიდანაც და იენის უნივერსიტეტის მხრიდან პროგრამის ხელმძღვანელობას ახორციელებს დოქტორი ანდრეას ფრაიტაგი ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა" ხელმძღვანელის პოსტზე თსუ-ს მხრიდან წარადგინა სრ. პროფ. დ. ნარმანია. დეკანმა აღნიშნა, რომ ხშირად იქმნებოდა კომუნიკაციის პრობლემები ენასთან დაკავშირებით. ამრიგად, ბატონი დ. ნარმანიას პიროვნების, კვალიფიკაციის, პროფესიონალური მართვის თვალსაზრისით ეს ცვლილება ამ პროგრამას კიდევ უფრო გააუმჯობესებს. პროცედურულად საკითხი განხილულია შესაბამისი (მენეჯმენტისა და ადმინისტრირების) კათედრის სხდომაზე, განხილვის ოქმი წარდგენილია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურში და ამჯერად მისი დამტკიცება უნდა მოხდეს ფაკულტეტის საბჭოზე.

აზრი გამოთქვა: საბჭოს წევრებიდან აზრი არავის არ გამოუთქვამს.

გაიმართა კენჭისყრა :

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 29

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. შეიცვალოს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის ,,საერთაშორისო საწარმოთა მართვა" ხელმძღვანელობა და პროგრამის ხელმძღვანელად თსუ-ს მხრიდან დამტკიცდეს თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სრული პროფესორი დავით ნარმანია.
2. ეთხოვოს თსუ აკადემიურ საბჭოს აღნიშნული ცვლილების დამტკიცება.

მოისმინეს: 2007 და 2008 წლის ,,ბიზნესის მართვის" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის კორექტირების შესახებ;

/ფაკულტეტის დეკანი ა. ხელაძე/

ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა, ა. ხელაძემ აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა კურსდამთავრებულების ეთერ გიგიტაშვილის, ლაშა გორგიაშვილის, თამარ ყაველაშვილის და ზაქარია თოლორდავას განცხადებები. ეთერ გიგიტაშვილს, ლაშა გორგიაშვილს, თამარ ყაველაშვილს აკრედიტაციის

ეროვნულ ცენტრში ჰქონდათ თსუ-ს მიერ გაცემული დიპლომის აპოსტილით დამოწმების პრობლემა. აღმოჩნდა, რომ მათ მინიჭებული ჰქონდათ კვალიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი. იმჟამად მოქმედი წესების მიხედვით კი უნდა მინიჭებოდათ ბიზნესის მართვის ბაკალავრის ხარისხი. შემოსულ განცხადებებზე რეაგირებისა და აღნიშნული ხარვეზის გამოსწორების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები. ჩატარდა კონსულტაციები როგორც თსუ ხარისხის სამსახურთან, ასევე თსუ იურიდიულ სამსახურთან და გადაწყვეტილება არის, რომ ფაკულტეტის საბჭომ აღნიშნულ ბრძანებებში უნდა განახორციელოს მინიჭებული ხარისხის ცვლილება ამჟამად მოქმედი წესების მიხედვით. აღნიშნული ბრძანებების შესწორება მოხდება და ყველა ის კურსდამთავრებული, რომელსაც შეექმნა პრობლემა და მოითხოვს დაშვებული ხარვეზის გამოსწორებას, მიიღებს ახალ დიპლომს. შემდეგ ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე წარმოდგენილ იქნას ანგარიში 2006-2010 წლებში ბაკალავრის ხარისხის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ყველა სავარაუდო ხარვეზის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

სრ. პროფ. ქ. მარშავა - როცა შეცდომით არის გაცემული, დიპლომი უნდა იქნას დაბრუნებული და სანაცვლოდ ახალი უნდა იქნას გაცემული.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - მინდა მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მოხდა: რამოდენიმე თვის წინ შემოვიდა ყოფილი კურსდამთავრებულის, ეთერ გიგიტაშვილის წერილი, რომელიც ითხოვდა გაცემული დიპლომის დანართის შესწორებას, იმიტომ რომ მას განათლების სამინისტრომ აპოსტილით არ დაუმოწმა 2009 წელს გაცემული დიპლომი. ამის შემდგომ დაიწყო მოკვლევა, თუ ვინ დაუშვა შეცდომა და რა მოხდა. დაიწერა შესაბამისი წერილი როგორც თამარ ვეფხვაძის სახელზე, ასევე იურიდიულ დეპარტამენტში კაკუბავას სახელზე, რომ მიგვეღო კონსულტაცია. საკითხის მოკვლევის შედეგად აღმოჩნდა შემდეგი ვითარება: 2005 წლის ნოემბრის თვეში, როდესაც მაშინდელი მინისტრის ბრძანებით დამტკიცებულია ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალი, რომელიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავდა, თუ რა ხარისხი უნდა მინიჭებოდა ბაკალავრს და რა უნდა ყოფილიყო სპეციალობათა ჩამონათვალი. მისი ამოქმედებიდან გაცემული ყველა კვალიფიკაცია და სპეციალობა შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ამ ბრძანებასთან. როგორც გაირკვა, ჩვენს ფაკულტეტზე დიპლომების გაცემისას დაშვებული იქნა შეცდომა. მოკვლევის შედაგად გამოიკვეთა, რომ ბრძანება კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ფორმდება რექტორის ხელმოწერით, მაგრამ წარდგინებას აკეთებს ფაკულტეტის დეკანი. ხარისხის სამსახურმა კანცელარიიდან გამოითხოვა ყველა წარდგინება. 2006-2009 წლებში წარდგინებების საფუძვლად აღებულია საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები, რომლის ოქმები ზოგი არსებობს, ზოგიც არ მოიძებნა. მხოლოდ 2010 წლიდან, როდესაც ძალაში შევიდა ახალი კვალიფიკაციათა ჩარჩო, მხოლოდ ამის შემდეგ დაევალა ფაკულტეტის ხარისხსის უზრუნველყოფის

სამსახურს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე მოემზადებინა კურსდამთავრებულებისათვის. კვალიფიკაციის მინიჭების პროექტები ფაკულტეტის საბჭოზე გასატანად. წესი, რომ ფაკულტეტის საბჭოზე შემოსულიყო კვალიფიკაციის მინიჭებები, შემოდის 2010 წლიდან. მანამდე დაშვებულ ხარვეზებზე ჩვენ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას. წარდგინება წასულია ფაკულტეტის დეკანების სახელით საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. სავარაუდოდ, ყველა ბაკალავრის დიპლომი, რომელიც გაცემულია 2006-2009 წლებში, არ შეესაბამება იმ პერიოდში არსებულ მოთხოვნებს.

სრ. პროფ. ქ. მარშავა - მე მგონია, რომ ვისაც შეცდომით აქვთ კვალიფიკაცია მინიჭებული, ფაკულტეტიდან სამინისტროში უნდა წაიღონ ცნობა ანდა ფაკულტეტიდან უნდა წავიდეს რექტორის სახელზე და რექტორი ნუსხას გადასცემს, რომ პრობლემები არ შეიქმნას. ახალი დიპლომების გაცემა დაუშვებელია.

ასოც. პროფ. ნ. პაპაჩაშვილი - ეს არ არის ინდივიდუალური შემთხვევა. იურიდიულ დეპარტამენტს პირველად რაც მივწერეთ იყო ის, რომ ეს არის მასობრივი შემთხვევა და ვთხოვეთ რჩევა. იურიდიულმა დეპარტამენტმა მოგვწერა, რომ ახალი წესით როგორც ხდება კვალიფიკაციის მინიჭება და დიპლომების გაცემა, ისევე უნდა გაიაროს ახალი პროცედურა ადრე მინიჭებული კვალიფიკაციების გასწორებამ. ადრე კვალიფიკაციების მინიჭება თუ ხდებოდა დეკანის წარდგინებით და რექტორის ბრძანებით, ახლა კვალიფიკაციის მინიჭება უნდა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით. ამიტომ ამ შემთხვევაშიც დაშვებული შეცდომის გამოსწორება უნდა მოხდეს ხელახალი წარდგინების გზით. ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ცენტრალურ ხარისხსაც აქვს ამასთან დაკავშირებით კოორდინაცია და მათ მიაჩნიათ, რომ ბიზნესის მართვას და ბიზნესის ადმინისტრირებას ერთნაირად აღვიქვამენ და ის წვრილ-წვრილი ჩამონათვალი სპეციალობებისა, რომელიც ადრე მიენიჭა ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, შესაძლებელია დატოვებული იქნას, როგორც სპეციალობა, რადგან იმ დროისათვის მოქმედ კვალიფიკაციათა ჩარჩოში არის სულ 6 დასახელება და შემდეგ წერია ,,და სხვა“ და მასში შეგვიძლია მოიაზროთ ყველა ის სპეციალობა, რაც მანამდე არსებობდა. მაგალითად, თუ სტუდენტმა დაამთავრა ,,საბირჟო საქმის“ სპეციალობა და მას უწერია ,,ბიზნესის ადმინისტრირების“ ბაკალავრი, უნდა ჩავუწეროთ ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრი, მაგრამ იმ ჩამონათვალში აღარ გვხდება ,,საბირჟო საქმე“ და რეკომენდაცია ასეთია, რომ იმ ,,და სხვაში“ გავითვალისწინოთ. ჩვენ ამოვწერეთ ის ბრძანებები, სადაც უშუალოდ ეს კონკრეტული ოთხი სტუდენტი მოხვდა. ახლა არის გადაწყვეტილება მისაღები იმასთან დაკავშირებით, რომ ეს სტუდენტები რომელ სიაშიც შედიან, იმ ბრძანებებში უნდა შევიდეს ცვლილება თუ 2007-2008 წლის მთლიან ნაკადში?

ასოც. პროფ. ნ. პაიჭაძე - ხომ არ გაქვთ მინისტრის ბრძანება, რომელიც გამოქვეყნდა 2005 წელს (#633). მე მახსოვს, რომ იმ ბრძანებაში ეწერა კვალიფიკაცია ,,ბიზნესის მართვა“. რადგან ეწერა ასე, ამიტომაც მოხდა აღნიშნული ფაქტი.

ასოც. პროფ. ი. ნაცვლიშვილი - არა, ,,ბიზნესის მართვის“ ნაცვლად ჩაიწერა ,,ბიზნესის ადმინისტრირება.“ მაგალითად, ერთ-ერთ დიპლომში წერია ასე: კვალიფიკაციის დასახელება და მინიჭებული წოდება - მიენიჭა ,,ბიზნესის ადმინისტრიერების“ ბაკალავრი, რაც შეცდომაა და უნდა იყოს ,,ბიზნესის მართვის“ ბაკალავრი. შემდგომ წერია - კვალიფიკაციის ძირითადი დარგი - უწერია ,,მეწარმეობის ეკონომიკა და მართვა“, #633-ი ბრძანების მიხედვით ეს არასწორია უნდა იყოს ,,ბიზნესი და მართვა.“

ამ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა თვალსაზრისები.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 29;

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის # 486/01-04; 24.03.2008 წ. ბრძანებით კურსდამთავრებულ ზაქარია თოლორდავასა და ამავე ბრძანებით სხვა კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით (განათლების მინისტრის ბრძანება # 633. 18.11.2005 „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“).
2. მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის #993/01-04; 02.06.2009 წ. ბრძანებით კურსდამთავრებულ ეთერ გიგიტაშვილისათვის და ამავე ბრძანებით სხვა კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით (განათლების მინისტრის ბრძანება # 633. 18.11.2005 „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“).
3. მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის #1629/01-04; 20.10.2008 წ. ბრძანებით კურსდამთავრებულ ლაშა გორგიაშვილისათვის და ამავე ბრძანებით სხვა კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით

(განათლების მინისტრის ბრძანება # 633. 18.11.2005 „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“).

4. მოხდეს ბიზნესის მართვის საბაკალავრო პროგრამის #2017/01-04; 12.12.2008 წ. ბრძანებით კურსდამთავრებულ თამარ ყაველაშვილისათვის და ამავე ბრძანებით სხვა კურსდამთავრებულებისათვის მინიჭებული ხარისხის კორექტირება და აღნიშნული ბრძანებით მინიჭებული ხარისხი „ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი“ შეიცვალოს ხარისხით „ბიზნესის მართვის ბაკალავრი“, ხოლო სწავლების დარგის მითითება მოხდეს კვალიფიკაციის მინიჭების პერიოდში მოქმედი წესის მიხედვით (განათლების მინისტრის ბრძანება # 633. 18.11.2005 „საქართველოს უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის სპეციალობათა ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“).
5. დაევალოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებს მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის #633 ბრძანების ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდში (2006-2010 წლებში) ხარისხის მინიჭებასთან დაკავშირებით სავარაუდო შეცდომების მოკვლევა და ინფორმაციის მიწოდება ფაკულტეტის საბჭოსათვის.

მოისმინეს: 2011-2012 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა არის ინტერდისციპლინური პროგრამა და ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია კვალიფიკაციის მინიჭებაზე. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა შეამოწმა პროგრამის კურსდამთავრებულთა ხარისხის მინიჭების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტები, სადაც იყო მცირედი ხარვეზები პროგრამისა და განვლილი საგნების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ეს ხარვეზები გასწორდა და დღეისთვის წარმოდგენილი გახლავთ ევროპისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხის მისანიჭებელად შემდეგი სტუდენტების სია:

1. *ნინო ქარჩავა (დიპლომი წარჩინებით);*
2. *სალომე გურეშიძე;*
3. *ვალერი ძამუკაშვილი;*
4. *თამარ წინწალაშვილი;*
5. *მარიამ ჩახვაძე;*
6. *ანა ჯანელიძე;*
7. *მაია გაბულდანი.*

აზრი გამოთქვა:

სრ. პროფ. დ. ნარმანია - მე მოგიწოდებთ, რომ მოვთხოვოთ ადმინისტრაციას პროგრამის შეთანხმება ფაკულტეტთან და ჩვენი პერსონალს მიერ ლექციების ჩატარების უზრუნველყოფა, რადგან ეს საკითხი საკმაოდ ბუდნოვანია. მე ამ შემთხვევაში ზოგიერთ დისციპლინას გავუსვამდი ხაზს, ამჯერად არ მინდა გვარების დასახელება, ვინც იქ კითხულობს ლექციებს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები სრ. პროფ. ქ. მარშავას, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშის მიერ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 29;

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. მიენიჭოს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს <u>ევროპისმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი:</u>

1. *ნინო ქარჩავა (დიპლომი წარჩინებით);*
2. *სალომე გურეშიძე;*
3. *ვალერი ძამუკაშვილი;*
4. *თამარ წინწალაშვილი;*
5. *მარიამ ჩახვაძე;*
6. *ანა ჯანელიძე;*
7. *მაია გაბულდანი.*

2. ეთხოვოს ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის ადმინისტრაციას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტთან შეათანხმოს ფაკულტეტისათვის მაპროფილებელი სასწავლო კურსები, რომლებიც ჩართულია ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაში და უზრუნველყოს აღნიშნული კურსების სწავლება ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობით.

მოისმინეს: საბაკალავრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევის დამტკიცების შესახებ;

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

ნ. პაპაჩაშვილმა აღნიშნა, რომ რამდენიმე თვის წინ იყო გამოგზავნილი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის ნაშრომის მომზადების გზამკვლევი, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაში ჩვენ არ გვაქვს ჩართული საბაკალავრო ნაშრომი, მაგრამ თეუსუს შემოერთების შემდეგ ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა გახლავთ მილევად რეჟიმში და მათ ჰქონდათ ჩასმული 20 კრედიტის ოდენობით საბაკალავრო ნაშრომი. აქედან გამომდინარე, საჭიროა საბაკალავრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევის დამტკიცება.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 29;

წინააღმდეგი – 0

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საბაკალავრო ნაშრომის მომზადების გზამკვლევი თეუსუს ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამისათვის წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: **ა. ხელაძე**

ფაკულტეტის სწავლული მდივანი,
ასოცირებული პროფესორი: **მ. ნაცვალაძე**